ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6099057

ნომერი: AR1919758

თარიღი : 25.08.2022

გაცემის თარიღი : 29.08.2022

გაცნობის თარიღი : 29.08.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მიხეილ ჭიაურელის ქუჩა N9;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თემური ასანიძე პ/ნ 54001055548
- თბილისი აბაშვილის ქ. N 3 კორ. 9 ბ. 11

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი კორექტირება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს: თქვენს მიერ არასწორედ არის საკითხი დაყენებული პროექტის კორექტირებასთან დაკავშირებით. საჭიროა ამავე განცხადებაზე ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით და ქმედებაში ნაცვლად -კორექტირებისა აირჩიოთ -რეკონსტრუქცია. ამას გარდა საჭიროა გაითვალისწინოთ და წარმოადგინოთ:

- სავენტილაციო ცხაურების მოწყობით დარღვეულია სამეზობლო მიჯნა N 01.13.01.018.126 საკადასტრო ერთეულის მიმართ, საჭიროა დააკორექტიროთ ცხაურის განთავსების ადგილმდებარეობა და წარმოადგინოთ დაკორექტირებული დოკუმენტაცია.

- მინდობილობაზე არ არის ხელმოწერა განხორციელებული დავით თევდორაშვილის მიერ, წარმოადგინეთ დავით თევდორაშვილის მიერ ხელმოწერილი მინდობილობა. ვინაიდან ობიექტი მშენებარეა წარმოდგენილ იქნეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრის (დამკვეთის) სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.